ქეთევან რამიშვილი
საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის
გლიპტიკის ფონდის კურატორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელოვნებათმცოდნე

ელენე გიუნაშვილი,
წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის/ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ეძღვნება პროფესორ ნატალია მ. ნიკულინას ნათელ ხსოვნას
Dedicated to Professor Natalia M. Nikulina

სკარაბეოიდი ხარის გამოსახულებით საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ე. წ. „ირანული კოლექციიდან“

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.22

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ე. წ. „ირანულ კოლექციაში“ შემავალი ქალცედონის სკარაბეოიდი, რომლის ზედაპირზეც პროფილში თავდახრილი ხარი არის გამოსახული. აქამდე ნივთი შესწავლილი არ იყო. ამიტომ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი გლიპტიკური ნაკეთობა. პარალელური მასალების გათვალისწინებით, სკარაბეოიდი გამოსახულებიანად მივიჩნიეთ აღმოსავლურ-ბერძნული წრის გლიპტიკურ ძეგლად და ის დავათარიღეთ ძვ. წ. V საუკუნის მიწურულით. ამავე დროს, ნაშრომში განვიხილეთ დასავლეთ საქართველოში, ვანში, 24-ე სამარხში აღმოჩენილი ორი ფარაკიანი ვერცხლის ბეჭედი, რომელთა ფარაკებზეც ხარის გამოსახულებებია და რომლებიც მოგვიანო ხანისაა, (თუმცა კულტურულად ერთი და იმავე ეპოქისაა). მათგან ერთი, მსგავსად „ირანული კოლექციის“ სკარაბეოიდისა, მივიჩნიეთ აღმოსავლურ-ბერძნულ ნაკეთობად, ხოლო მეორე, ხარის თავის გამოსახულებიანი – დავუკავშირეთ კოლხურ – ადგილობრივ გლიპტიკურ სკოლას. ორივე ვანის ბეჭედი თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნით

საკვანძო სიტყვები: ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდი, „ირანული კოლექცია“, ხარის გამოსახულებიანი ქალცედონის სკარაბეოიდი, აღმოსავლურ-ბერძნული სტილის გლიპტიკა

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალას შორის დაცულია საბეჭდავების ძალზე მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც ცნობილია, როგორც ე. წ. „ირანული კოლექცია“. ამ კოლექციას აქვს მეტად საინტერესო ისტორია, რომელიც გვიამბო ჩვენმა უფროსმა კოლეგამ და მასწავლებელმა, ცნობილმა ქართველმა გლიპტიკოსმა ქეთევან ჯავახიშვილმა (1932 – 2021). ეს კოლექცია ეკუთვნოდა გერმანელ დიპლომატს *ერვინ ეტტელს* (Erwin Ettel, 1895-1971), რომელიც დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ირანში 1939-1941 წლებში. 1941 წელს ეტტელი თურქეთის გზით დაბრუნდა ბერლინში და თავისი კოლექცია თეირანში დატოვა. საბჭოთა ჯარმა გერმანელი დიპლომატის ეს კოლექცია საქართველოში ჩამოიტანა და გადასცა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდს, ხოლო 1945 წელს ეს კოლექცია გლიპტიკის ფონდს გადაეცა. იგი აერთიანებს 250-მდე სხვადასხვა დროის, ფორმისა და შემკულობის საბეჭდავს, რომელთა სისტემურ შესწავლასაც სამომავლოდ ვგეგმავთ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქეთევან რ. რამიშვილის ავტორობით გამოქვეყნდა სტატია ბერძნულ-სპარსული მრავალწახნაგა ქალცედონის ბეჭდის (საინვენტარო ნომერი – გლ. ფ. 447) შესახებ, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის „მოამბეში“ (XI (57-B), 2025 წ.; გვ. 111-121).

ასევე, შევისწავლეთ რამდენიმე სასანური პორტრეტი და ჩვენი ერთობლივი სტატია გამოიცა 2023 წელს ჟურნალ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ მე-12 ტომში (გვ.139-155), და მიეძღვნა აკადემიკოს ზ. ალექსიძის ხსოვნას.[1]

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქალცედონის საბეჭდავს, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საბეჭდავი სკარაბეოიდის ფორმის ინტალიოა. ზურგისა და პირის შემაერთებელი წახნაგი ოდნავ დაქანებულია და მაღალია. ქვაში ზონრისთვის მთელ სიგრძეზე ნახვრეტია გაკეთებული. საბეჭდავი თანაბრადაა გათლილი და გაპრიალებული. საბეჭდავის ოვალურ და ბრტყელ ზედაპირზე საკმაოდ რეალისტურად, ღრმა კვეთითა და მკაფიოდ არის ამოჭრილი პროფილში მიმავალი ხარი (**ილ. 1**). ხარი თავდახრილია, მრგვალი თვალი მკვეთრად არის გამოსახული. რქები არ უჩანს, რადგან საბეჭდავი ამ ადგილას ამოტეხილი. გრძელი კუდი ქვემოთ აქვს დაშვებული და მოკლე, შემსხვილებული „ფუნჯით“ მთავრდება. ხარს მკვეთრად გამოსახული ჩლიქები, შედარებით ვიწრო წელი, და მოცულობითი პლასტიკური მასებით მოდელირებული მძლავრი მკერდი და გავა აქვს. კისერი და ფერდები პარალელური ხაზებითაა დაღარული, რაც კიდევ უფრო ამლიერებს ცხოველის რეალისტურ ხასიათს და, ამავე დროს, ერთგვარ დეკორატიულ ხასიათს ქმნის. ხარი მკაფიოდ

[1] ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორთან, გაბი აბუსამრასთან ერთად, რომელიც ს. ჯანაშიას მუზეუმში ვიზიტით იმყოფებოდა 2023 და 2024 წლებში, ჩვენ (ქ. რ. და ე. გ.) ასევე შევისწავლეთ ამ კოლექციის ერთი ცილინდრული – კოჭისებური საბეჭდავი, რომელზეც ინვესტიტურის სცენა და არამეული წარწერაა გამოსახული; ამ თემაზე სტატია მზადდება.

ფალიკურია. ნიადაგის ზოლი ვიწრო და მკვეთრი ღარით არის გამოსახული (გლ.ფ. 431. ინტალიოს ზომები: 25x19x10 მმ, ნახვრეტის დიამეტრი: 2 მმ.). ხარის გამოსახულება განზოგადებული ფორმით არის წარმოდგენილი, თუმცა კარგად ჩანს ქვის მჭრელი ოსტატის შესანიშნავი ცოდნა ნატურის და ნატიფი დაკვირვებულობა. ოსტატის მიერ აღმოსავლურ-ბერძნული გლიპტიკის ტრადიციების გათვალისწინებით, აქცენტირებულია მხოლოდ ცხოველის წინა ფეხი (მკერდთან ერთად) და უკანა ფეხის ბარძაყი, მაგრამ გამოსახულების ცალკეული ნაწილები, უპირველეს ყოვლისა, თავი, დამუშავებულია დეტალურად და დაწვრილებით. ცხვირის, თვალების, ფეხის სახსრებისა და განსაკუთრებით ჩლიქების მოდელირებისას გამოყენებულია პატარა წრეები, რომლებიც მრგვალი ბურღით არის შესრულებული და ოსტატის მიერ დამალული არ არის. ერთი სიტყვით, ეს ძალიან გულმოდგინე და აკურატული ნამუშევარია.

საერთოდ, სკარაბეოიდები ძალიან პოპულარული იყო ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით ძვ. წ. V-IV საუკუნეებში. ეს გემები დაკავშირებულები არიან გარდამალ პერიოდთან – მაღალი კლასიკიდან გვიანდელ კლასიკამდე და ისინი განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა მცირე აზიაში, იონურ გლიპტიკაში (Никулина,1994:35-38).ჩვენს სკარაბეოიდთან როგორც ფორმით, ასევე კომპოზიციითა და სტილით დიდ მსგავსებას იჩენს ორი მშვენიერი სკარაბეოიდი. ერთი მათგანი ინახება ბოსტონში, ნატიფი ხელოვნების მუზეუმში (**ილ. 2**). იგი ქალცედონისაა და მასზე ამოკვეთილია თავდახრილი კუზიანი ხარი-ზებუ პროფილში (საინვენტარო ნომერი – 23.584), ხოლო მეორე – ინახება ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში (**ილ. 3**), იგი სარდიონისაა და მის პირზე ასევე ამოჭრილია თავდახრილი ხარი პროფილში (საინვენტარო ნომერი – F.G.174). გამოჩენილმა ხელოვნებათმცოდნემ ნ. ნიკულინამ შეისწავლა ორივე სკარაბეოიდი და მისი აზრით, ისინი აღმოსავლურ-ბერძნულია: მცირე აზიური წარმოშობის და განეკუთვნებიან ძვ. წ. V საუკუნის მიწურულს (Никулина, 1994:II ილ. 28 და 29), რადგან ხარის ამ გამოსახულებებს უახლოესი სტილური ანალოგიები, უპირველეს ყოვლისა, ეძებნება ძვ. წ. V საუკუნის თრაკიულ და მაკედონურ მონეტებზე (Никулина, 1994, II: 35-38). ჯ. ბორდმანმა იგივე სკარაბეოიდები განიხილა ბერძნულ-სპარსული გემების რიგში და ბოსტონური სკარაბეოიდი (**ილ. 2**) მიაკუთვნა ბერძნულ-სპარსულის “Court” – ანუ დაკანონებულ სტილს, ხოლო ბერლინური (**ილ. 3**) – “Common” – ანუ ჩვეულებრივ სტილს და მას ხარის ბერძნულ-კლასიკური ტიპი დაუკავშირა. მკვლევარი დასძენს, რომ ხარის ეს მოტივი *ალექსანდრე მაკედონელის* (ძვ. წ. 356-323 წწ.) შემდეგ აღმოსავლეთში, სელევკიდურ მონეტებზე გამოჩნდა (Boardman, 1970:312).

ჩვენ ვემხრობით ნ. ნიკულინას მოსაზრებას და „ირანული კოლექციის“ სკარაბეოიდი მიგვაჩნია *აღმოსავლურ-ბერძნულ* გემად, რადგან ხარის ეს გამოსახულება არსებითად ბერძნული ნაკეთობაა პოზით, დგომით, შინაგანი დინამიზმით, სივრცეში თავისუფლად გაშლით და შესრულების ტექნიკით (მრგვალი ღრმულებით მოდელირებული ფეხის სახსრები და ჩლიქები), რომელსაც თან სდევს ძალიან

მცირე ორიენტალისტური დეტალები: ოდნავ კუთხოვანი სილუეტი და დეკორატიული ნიშნები. ეს კი, აღმოსავლურ სამყაროსთან მეზობლობის გამო, ყოველთვის იყო დამახასიათებელი აღმოსავლურ-ბერძნული ხელოვნებისთვის (მაგალითად, აღმოსავლურ-ბერძნული სვეტის თავი იონური ორდერით: ჩახვეული ვოლუტები სწორედ დეკორატიული, ორიენტალისტური ელემენტია) და გემას ძვ. წ. V საუკუნის მიწურულით ვათარიღებთ.

ხარის გამოსახულება პირველყოფილი ეპოქიდან მოყოლებული, უცვლელად წარმოადგენდა მნიშვნელოვან თემას უძველესი ადამიანის შემოქმედებაში. ხარი იყო ნადირობის ობიექტი და საფუძველი განვითარებადი მეცხოველეობისთვის, რომელსაც გვარისთვის თუ ტომისთვის მოჰქონდა მუდმივი საკვები და დამაკმაყოფილებელი ცხოვრების დონე და დოვლათი. აქედან გამომდინარე, კანონზომიერია ამ ცხოველის მჭიდრო კავშირი ნაყოფიერების კულტთან, რომელსაც ამავე დროს, ყოველთვის გააჩნდა ასტრალური მნიშვნელობა. ხარი – ეს იყო მიწის – შუა სკნელის არსება, რომელიც ამავე დროს უკავშირდებოდა ზესკნელს, ზეციურ სამყაროს. სწორედ აღმოსავლურ-ბერძნულ გემებზე აღბეჭდილ გამოსახულებებში მოსახლეობის ინტერესი გამოიხატება არა იმდენად სიუჟეტურ-მითოლოგიური კომპოზიციების მიმართ (რაც მატერიკული და კუნძულოვანი გემებისთვის იყო დამახასიათებელი), რამდენადაც ცხოველებისადმი დიდი სიყვარულით.

ცხოველების გამოსახულებებს გააჩნდათ ამ პერიოდში ტრადიციულად რელიგიურ-სიმბოლური შინაარსი. ამ პერიოდში გემებზე სხვა ცხოველებთან ერთად ხშირად გამოისახებოდა ხარი არა როგორც უბრალოდ ცხოველი, არამედ როგორც ღმერთების ატრიბუტი. მას რთული მნიშვნელობა და შინაარსი აქვს, რომლის ფესვებიც საძიებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ანატოლიისა და მესოპოტამიის კულტურაში (Никулина, 1994,I:18). ჯერ კიდევ კრეტა-მიკენისა და შემდგომ ანტიკურ საბერძნეთში ხარი მჭიდროდ უკავშირდებოდა უზენაეს ღვთაებას, ზევსს. ამ მიმართულებით საყურადღებოა რ. გორდეზიანის კვლევა (გორდეზიანი,1970: 194).ბერძნულ მითებში ზევსი ხშირად იღებს ხარის სახეს და ეს ცხოველი ზევსის ერთ-ერთი წმინდა ცხოველია არწივთან ერთად (გაფრინდაშვილი, 1972:121). ასევე მნიშვნელოვანია მითი ხარად გადაქცეული ზევსის შესახებ, რომელმაც ევროპე მოიტაცა და კუნძულ კრეტაზე ჩაიყვანა, სადაც ხარის კულტი განუზომლად დიდი იყო, მათი შეუღლების შედეგად დაიბადა კრეტის მეფე მინოსი, რომლის მეუღლე, კოლხი პასიფაე, მინოტავრის, ხარ-კაცის დედა გახლდათ (*Мифы и легенды народов мира*, 2000:463-466).

ქართველურ სამყაროში ხარის კულტის არსებობა არ არის გასაკვირი, რადგან საქართველო კულტურულად ყოველთვის მედიტერანული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო და ხარის კულტი აქ უძველესი დროიდან არსებობდა, ვითარცა ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღვთაების განსახიერება (Бардавелидзе, 1957: 256-260). „აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქედი და მას შემდეგ ხარს აწევს ადამიანის შენახვის ტვირთი“ – გვამცნობს ქართული მითოლოგია (კიკნაძე, 2022: 185). ხარის

კულტი იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ქრისტიანულ რელიგიაშიც შეაღწია და დაუკავშირდა წმინდა გიორგის კულტს (კიკნაძე, იქვე).

საქართველოში ხარის კულტთან დაკავშირებული მრავალი უძველესი არქეოლოგიური მონაპოვარი არსებობს (ბერძენიშვილი, 2013). ხარის გამოსახულებები მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც აისახა გლიპტიკურ ძეგლებზე.საერთოდ, საქართველოში, ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული, განსხვავებით ანტიკურ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული სკარაბეოიდების, მრავალწახნეგებსა და ცილინდრული ფორმის საბეჭდავებისგან, დიდ უმრავლესობას წარმოადგენს თითზე შესაცმელი ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) ფარაკიანი ბეჭდები (ლორთქიფანიძე, 1975:110). ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საქართველოში სხვა ფორმის საბეჭდავები არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ცილინდრები, სკარაბეოიდები და მრავალწახნაგები არქეოლოგიურად დასტურდება, მაგრამ ჯერ ერთი, გაცილებით მცირე რაოდენობით და მერე, ძალზე უსახური და სქემატური გამოსახულებებით, მაღალი ხარისხის ნაკეთობები კი – სულაც იმპორტს წარმოადგენს (ლორთქიფანიძე, 1969: 119-121; ჯავახიშვილი, 2011: 121). რაც შეეხება ფარაკიან ბეჭდებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივად არის დამზადებული და ორგანულად დაკავშირებულია ადგილობრივ ტრადიციებთან და რწმენა-წარმოდგენებთან, თუმცა მცირე რაოდენობით იმპორტიც გვხვდება. „საქართველოში, სადაც ლითონის დამუშავების უძველესი ტრადიციები არსებობდა, ადგილობრივმა ოსტატებმა, როგორც ჩანს, ადვილად აითვისეს ლითონის ფარაკიანი ბეჭდების დამზადების ხელოვნება“ (ჯავახიშვილი, 2011: 121), მათ შეძლეს ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი გამოსახულებების ამოკვეთა ლითონის ბეჭდების ფარაკებზე და შესანიშნავი ნაკეთობები შექმნა.

„ირანული კოლექციის“ სკარაბეოიდზე ამოკვეთილი ხარის მსგავსი გამოსახულება, ოღონდ მოგვიანო ხანის, დადასტურებულია დასავლეთ საქართველოში, ვანის 24-ე სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე (ზომები: ფარაკი – 19x14 მმ. ბეჭედი – 22x18 მმ. ამჟამად ინახება ვანის მუზეუმში). მოზრდილი, ბოლოებმომრგვალებული და ოვალური ფარაკის ბრტყელ პირზე ძალზე პლასტიკურად, რეალისტურად და მოხდენილად არის გამოსახული ხარის ფიგურა პროფილში (**ილ. 5**). ხარის ფიგურა დეტალურად არის დამუშავებული: ხარს აქვს პატარა, ნუშისებური ფორმის თვალი, მკაფიოდ ჩანს ერთი რქა და ყური. გრძელი, ძირს დაშვებული კუდი კი ბოლოვდება მცირე შემსხვილებით. ბალანი მცირე ნაჭდევებით არის მინიშნებული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხების სახსრები და ჩლიქები, ისე როგორც ეს „ირანული კოლექციის“ ხარს აქვს, მოდელირებულია პატარ-პატარა წრეებით, და არ არის ოსტატის მიერ დამალული. ბეჭედი შეისწავლა ქ. ჯავახიშვილმა, ხარის ფიგურა მიამსგავსა აღმოსავლურ-ბერძნული წრის ერთ სარდიონის სკარაბეოიდზე ამოჭრილ ხარის (Никулина, 1994,II, ილ. 185, ინვენტარის ნომერი – A.1450) გამოსახულებას (**ილ. 6**), ასევე, გაითვალისწინა ჯ. ბორდმანის ბეჭედთა კლასიფიკაცია (VII ტიპი) და

ვანური ბეჭედი მიიჩნია აღმოსავლურ- ბერძნული წრის ნახელავად, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღა (ჯავახიშვილი, 2011: 127).

ვანში, 24-ე სამარხშივე ასევე აღმოჩენილია ერთი ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, მრგვალგანივკვეთიანი რკალით. მის მასიურ, წრიული ფორმის ფარაკზე არაღრმად, მკაფიოდ და სავსებით რეალისტურად ამოკვეთილია არა ხარის ფიგურა, არამედ ხარის თავი პროფილში (**ილ. 7**). (ინახება ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში, გლ. ფ. 1908. ზომები: ფარაკის დიამეტრი – 12 მმ. ბეჭედი – 21-25 მმ.). ხარის თავს აქვს მრგვალი თვალი, მოხრილი რქა და მოზრდილი ყური. კისერი ირიბად არის დაღარული და ყოველი ღარი ნაჭდევი, მომცრო ბურთულით მთავრდება, რაც დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს ხარის მეტად ხატოვან თავს. გამოსახულებას გარს უვლის ფარაკის კიდეზე ამოკვეთილი ხაზოვანი რკალი.

ხარის თავის გამოსახულებიანი გლიპტიკური ნაკეთობა საქართველოს *ანტიკურ გლიპტიკურ ძეგლებში არ გვხვდება.* ნიმუშისთვის მივაკვლიეთ ხარის პროტომის გამოსახულებიანი ქალცედონის ერთ სკარაბეოიდს (**ილ. 4**), რომელიც მიუნხენის მუზეუმში ინახება და კაპადოკიაშია აღმოჩენილი. ჯ. რიხტერმა გამოაქვეყნა ეს გემა და იგი ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღა (Richter, 1968: 111, №396; შდრ. Никулина, 1994,II: 35, ილ. 33 **).** ეს გამოსახულება, როგორც კომპოზიციურად, ასევე სტილურად და იკონოგრაფიულად, სრულიად განსხვავდება ვანური ბეჭდის გამოსახულებისგან და, ამიტომ პარალელად ვერ მივიჩნიეთ. სამაგიეროდ, ვანურ ბეჭედზე აღბეჭდილი ხარის თავი თვალში საცემ მსგავსებას ავლენს II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმის რევერსზე გამოსახულ ხარის თავთან **(ილ. 8**). II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმები კოლხური მონეტების ყველაზე გავრცელებული სახეობაა. იჭრებოდა ამ მონეტის უამრავი ვარიანტი და ისინი მრავლად არის აღმოჩენილი მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (დუნდუა, 2003: 39, ტაბ. II/8). ამ მონეტების ემისია დაიწყო ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში და შეწყდა მაშინ, როდესაც კოლხეთში მასობრივად *ალექსანდრე მაკედონელის* (ძვ. წ. 356-323 წწ.) სახელით მოჭრილი სტატერები გავრცელდა (დუნდუა გ. 2003:42). ვანური ბეჭედის ფარაკზე და კოლხური თეთრის რევერსზე აღბეჭდილი ხარების თავების მსგავსება იმდენად დიდია, რომ ქ. ჯავახიშვილმა გამოთქვა საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება, რომლის თანახმად ვანის ბეჭედი და II ტიპის კოლხური მონეტები ერთსა და იმავე ზარაფხანაში დამზადებულია (დაახლოებით, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის მეორე ნახევარს შორის). მკვლევარმა გაითვალისწინა ჯ. ბორდმანისეული ბეჭედთა კლასიფიკაციაც (ბეჭდის XIV ტიპი – ძვ. წ. IV საუკუნე) და ვანური ბეჭედი, უფრო ზუსტად, ძვ. წ. IV საუკუნით დაათარიღა (ჯავახიშვილი, 2011:127-128). ეს საკმაოდ სარწმუნოდ ჩანს, ვინაიდან ვანის 24-ე სამარხი, სადაც ორივე ვანური ბეჭედი აღმოჩნდა, ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება (კაჭარავა, 2005; Kacharava, Kvirkelia, 2008: 175).

დასკვნა

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ქალცედონის საბეჭდავი-სკარაბეოიდი, რომელზეც ხარის გამოსახულებაა. პარალელური მასალების გათვალისწინებით, ბეჭედი დავათარიღეთ ძვ. წ. V საუკუნის ბოლოთი და ამავე დროს განვსაზღვრეთ, თუ რომელ კულტურას მიეკუთვნება იგი. სკარაბეოიდი მივიჩნიეთ *აღმოსავლურ-ბერძნულად*. ამავე პერიოდში, ანუ მაღალი კლასიკიდან გვიან კლასიკაზე გარდამავალ ხანაში (ძვ. წ. V საუკუნის მიწურული და IV საუკუნე), საქართველოშიც მოიპოვება ხარის გამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლები. ამ მოტივით განვიხილეთ ვანის 24-ე სამარხში აღმოჩენილი ხარის გამოსახულებიანი ორი ფარაკიანი ბეჭედი და დავადგინეთ, რომ ერთი მათგანი, ისევე როგორც ,,ირანული კოლექციის“ სკარაბეოიდი,აღმოსავლურ-ბერძნული წარმოშობისაა, ხოლო მეორე კი – ადგილობრივ-კოლხური, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საქართველო ამ პერიოდში მძლავრად იყო ჩართული იმ საერთო კულტურულ პროცესებში, რომლებიც მიმდინარეობდა მთელს მაშინდელ ანტიკურ სამყაროში. მნიშვნელოვანია, რომ ამავე დროს საქართველოშიც იქმნებოდა ადგილობრივი გლიპტიკის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც ადგილობრივ ტრადიციებს ეფუძვნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი დავით, 2013: ხარის კულტი წარმართული ხანის საქართველოში, *ჩვენი საუნჯე* – saunje.ge/index.php?id=1249&lang=ka

გორდეზიანი, რისმაგ, 1970: *„ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები,* თბილისი.

გაფრინდაშვილი, ნოდარ, 1972: *მითოლოგიური ლექსიკონი.* თბილისი.

დუნდუა, გიორგი, 2003: კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა), *იბერია-კოლხეთი*, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, (რედ. გ. გამყრელიძე), №1, გვ. 33-49. თბილისი.

კაჭარავა, დარეჯან, 2005: *არქეოლოგიური გათხრები ვანის ზედა ტერასაზე 2002-2005 წლებში.* (ხელნაწერი).

კიკნაძე, ზურაბ, 2022: *ქართული მითოლოგია. ენციკლოპედია.* თბილისი.

ლორთქიფანიძე, მარგარიტა, 1969: *ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი,* I. თბილისი.

ლორთქიფანიძე, მარგარიტა, 1975: *კოლხეთის ძვ. წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები.* თბილისი.

ჯავახიშვილი, ქეთევან, 2011: ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, *იბერია-კოლხეთი*, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, (რედ. გ. გამყრელიძე.), № 7, გვ. 121-130. თბილისი.

Бардавелидзе, Вера Варденовна, 1957:*Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен.* Тбилиси.

Мифы и легенды народов мира **2000:**I, *Мифы и легенды народов мира: в 3 томах* Т. 1. *Древний мир*, Москва.

Никулина, Наталия Михайловна, 1994: *Искусство Ионии и Ахеменидского Ирана. По материалам глиптики V-IV вв. до н.э.* Москва.

Boardman, John, 1970: *Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical*, London.

Kacharava Darejan., Kvirkvelia Guram, Jennifer Y. Chi, 2008: *Wine, Worship and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani* , New York.

Richter, Gisela M. A. 1968: *Engraved Gems of the Greeks and the Etruscans: A History of Greek Art in Miniature,* London.

A Scaraboid with the Image of a Bull from the "Iranian Collection" of the S. Janashia State Museum

Ramishvili, Ketevan R, S. Janashia State Museum, Head of the Glyptic Fund, PhD

Giunashvili, Helen, Ilia State University, Researcher, PhD

The article examines a chalcedony scaraboid (inventory number GF 431) belonging to the "Iranian Collection" of the Glyptic Fund at the S. Janashia State Museum, featuring a bull in profile with a lowered head on its surface. The artifact, which had remained unexplored, was now presented to scientific communities. Based on the identical glyptic characteristics, we dated the scaraboid to the end of the 5th century BC and considered it a glyptic monument of the Eastern Greek circle. The article also discusses two silver shield rings featuring representations of bulls, which were discovered in tomb no. 24 in Vani, Western Georgia. Despite being from a significantly later time, these rings are part of the same cultural era. We identified one of them as an Eastern Greek glyptic artifact, similar to the scaraboid from the "Iranian Collection," and we linked the other, which shows a bull's head, to the Colchian local glyptic tradition. Both of the Vani shield rings were dated to the 4th century BC.

ტაბულები /A List of Illustrations



1



2



3



4



5



6



7



8

ილუსტრაციების აღწერილობა / Description of the Illustrations:

ილ. 1. ქალცედონის სკარაბეოიდი ხარის გამოსახულებით, „ირანული” კოლექციიდან.

Illust.1. Chalcedony scaraboid depicting a walking bull, the "Iranian" collection",

the S. Janashia State Museum of Georgia (IN GF 431), the end of the 5th c. BC.

ილ. 2. ქალცედონის სკარაბეოიდი ხარის გამოსახულებით. ბოსტონი, ნატიფი ხელოვნების მუზეუმი

Illust. 2. Chalcedony scaraboid featuring a bull-zebu, the collection of the Museum of Fine Arts at Boston (IN 23.584), late 5th c. BC, reprinted from Nikulina 1994, II, N 28.

ილ. 3. სარდიონის სკარაბეოიდი ხარის გამოსახულებით. ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი

Illust. 3. The carnelian scaraboid depicting a walking bull, the Berlin State Museum (IN F.G. 174), late 5th c. BC, reprinted from Nikulina 1994, II, N 29.

ილ. 4. ქალცედონის სკარაბეოიდი ხარის პროტომის გამოსახულებით. მიუნხენის სახელმწიფო მონეტების კოლექციის მუზეუმი

Illust. 4. Chalcedony scaraboid depicting the forepart of a bull. Located in the Staatliche Münzsammlung, Munich, from the Arnndt Collection,second half of the 5th c. BC, reprinted from Richter, 1968: 111, №396.

ილ. 5. ვერცხლის ბეჭედი, ფარაკზე ხარის გამოსახულებით. ვანი, 24-ე სამარხი.

Illust. 5. A silver ring with a bull representation on its shield, Vani, the 24th burial, the 4th c. BC, the Vani Museum collection.

ილ. 6. სარდიონის სკარაბეოიდი ხარის გამოსახულებით. შეძენილია თურქეთში. მიუნხენის სახელმწიფო მონეტების კოლექციის მუზეუმი

Illust. 6. Carnelian scaraboid featuring a bull. The Staatliche Münzsammlung, Munich (IN A. 1450), the first part of the 4th c. BC, reprinted from Nikulina, 1994,II, N 185.

ილ. 7. ვერცხლის ბეჭედი, ხარის თავის გამოსახულებით წრიულ ფარაკზე. ვანი, 24-ე სამარხი

Illust. 7. A silver ring with the image of a bull's head on a circular shield, the 4c. BC, the S. Janashia State Museum (IN GF 1908).

ილ. 8. კოლხური თეთრის რევერსი ხარის თავის გამოსახულებით, II ტიპის ჰემიდრაქმა

Illust.8. A Colchian silver coin, type II hemidrachm, reverse with a bull's head to the right within the linear circle, the Numismatic collection of the S. Janashia State Museum, reprinted from the online catalog: http://geonumismatics.tsu.ge/public/en/catalogue/types?type=13.